



სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება

N 16
27/04/2021

16-0-4-202104271542



სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქ. სიღნაღში, ლოლაშვილის ქუჩაზე (ე.წ. „ბებრების ბაღი“, ს/კ №56.14.41.285) 967 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 5 კვ.მ-ის პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით სარგებლობის უფლებით (იჯარით) გადაცემასა და საიჯარო ქირის საფასურზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მეოთხე პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტებისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 10 თებერვლის # 05/581 წერილის საფუძველზე, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერს გიორგი გოგილაშვილს პირდაპირი წესით სასყიდლით სარგებლობის უფლებით (იჯარით) გადასცეს სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქ. სიღნაღში, ლოლაშვილის ქუჩაზე (ე.წ. „ბებრების ბაღი“; (ს/კ №56.14.41.285) 967 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 5 კვ.მ ქ. სიღნაღში მცხოვრებ ნონა გიგოლაშვილს (პ.ნ 40001008526).
2. საიჯარო ვადად განისაზღვროს 5 წელი.
3. იჯარის წლიური ქირა განისაზღვროს 200 ლარით.
4. დაევალოს სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერს გიორგი გოგილაშვილს მოქმედი კანონმდებლობით უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმება.
5. სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების გადაგზავნა სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიაში.
6. ეს განკარგულება განკარგულება ძალაში შევიდეს მხარეთათვის დადგენილი წესით გაცნობისთანავე.
7. ამ განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (ქ. სიღნაღი ც. დადიანის ქ. #15) განკარგულების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

ილია ხატიაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე

